1)

გიორგიმ გადაწყვიტა n ცალი პორტრეტის დახატვა. მასალების მოსამზადებლად მას 10 წუთი დასჭირდა, თითო პორტრეტის დასახატად კი - 5 წუთი. ამ ყველაფრისთვის გიორგიმ 60 წუთი დახარჯა.

ქვემოთ ჩამოთვლილი ტოლობებიდან რომელი ტოლობა აღწერს ამოცანის პირობას?

ა) $5n + 10 = 60$ ბ) $10n + 5 = 60$

გ) $5n - 10 = 60$ დ) $10n - 5 = 60$

2)

დააკვირდი სურათს და უპასუხე შემდეგ შეკითხვას:



5 დინოზავრი უფრო მძიმე იქნება თუ 27 სპილო?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

3)

ჩაწერე ცარიელ უჯრაში რამდენნიშნა რიცხვია **თხუთმეტი მილიარდ ექვსი მილიონ ოცდასამი ათასი**

4)

დაწერე ცხრანიშნა რიცხვი, რომელიც ნაკლებია 100000015-ზე და მისი ერთეულების თანრიგის ციფრია 5.

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

5)

მოცემულ რიცხვში 57377444555000 მარცხნიდან პირველი შვიდიანის მნიშვნელობაა:

ა) 7 ბ) 700 გ) 70000000000 დ) 7000000000000

6)

ხუთი ტრილიონ შვიდი მილიარდ სამასხუთი ჩაიწერება ასე:

ა) 57000000305 ბ) 500007000305

გ) 5007000000305 დ) 507000000305

LIVEWORKSHEETS

7)

თეას ჰქონდა 32 ლარი, დედამ დაუმატა a ლარი, ამის შემდეგ 15 ლარი დახარჯა საჩუქრებში და დარჩა 23 ლარი. რომელი ტოლობა გიჩვენებს იმას, თუ რამდენი ლარი დაუმატა დედამ?

ა)	a=32 + 15 - 23	გ)	a=32– 15 + 23
ბ)	a=32 + 23 – 15	დ)	a=23 + 15 - 32

8)

ქვემოთ შემოხაზე სწორი ტოლობა:

ა) $5 \cdot (y + 2) = 10 + 5 \cdot y$

ბ) $(x + 2) \cdot 6 = x + 12$

გ) $4 \cdot b + 8 = 4 \cdot (b + 8)$

დ) $5 + 4 \cdot a = 9 \cdot a$

9)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია $4\,x \cdot (2 + 6)$ გამოსახულების ტოლი გამოსახულება?

ა) $12x$

ბ) $8x + 24$

გ) $32x$

დ) $48x$

LIVEWORKSHEETS

10)

ცხრილის ყველა სვეტი პირველი სვეტის შესაბამისადაა შევსებული:

b	100	150	250
2·b -18	182	282	

ამ შესაბამისობის მიხედვით რომელი რიცხვი უნდა ეწეროს ცხრილის ცარიელ უჯრაში?

ა) 382 ბ) 564

გ) 582 დ) 482

11)

დააკვირდი სურათს და უპასუხე შემდეგ შეკითხვას:

21 სპილო უფრო მძიმეა, თუ 6 დინოზავრი?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

12)

ცხრილის ყველა სვეტი პირველი სვეტის მიხედვითაა შევსებული. ჩაწერე ცხრილში გამოტოვებული რიცხვი:

a	1	2	4
$1 + a^2$	2	5	

LIVEWORKSHEETS